# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 17

2019 წ. „01“ 04

ქ. თბილისი

**სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის (ს/კ: 218076542) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 1 აპრილის №7 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე

მარიამ დარბაიძე

მდივანი

ნინო ხოლუაშვილი